პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით    შაბათი, 24 მაისი 1924 წ.    წელიწადი მეოთხე    ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 506 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი | რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელს. 85.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## ახალ-წვეული მჭიდროთ უნდა დაუკავშირდეს თავის გაზეთს.

რამოდენიმე დღეების შემდეგ ჩვენი წითელი ჯარის რიგები შეივსება ახალი ძალებით. ეს გარემოება აყენებს ჩვენი გაზეთის წინაშე მეტად სერიოზულ ამოცანას—გახდეს მასიური, სავსებით მისაწდომი გაზეთი ახალი წითელი არმიელისათვის.

ეს ძნელი საქმეა, მაგრამ ჩვენი უფ და პოლიტშემადგენლობის ენერგიული დახმარებით ვიმედოვნებთ ის განხორციელდება.

ჩვენი გაზეთი ემსახურებოდა ძველ წითელ არმიელს, რომელიც თავის მომზადებით, ცოდნით და შეგნებით მაღლა სდგას ახალ წვეულზე.

ეხლა კი გაზ. „წითელ-არმიელი“ მოწოდებულია ემსახუროს ახალ მოსულს და გახდეს მისთვის სავსებით მისაწდომი. საჭიროა რომ ჩვენი გაზეთის თითეული სტრიქონი, თითეული სიტყვა იმდენად მარტივი იყოს, რომ ეს სავსებით შეითვისოს პოლიტიკურად მოუმზადებელმა და ზოგიერთ შემთხვევაში წერა-კითხვის უცოდინარმა წითელმა არმიელმა.

ვიმეორებთ ეს ძნელი ამოცანაა, რადგან მარტო რედაქციას არ შეუძლია სავსებით გაითვალისწინოს ახლად მოსული ახალგაზრდობის შეგნების და მომზადების დონე. თუ რამდენათ გაზეთი ახლო სდგას წითელ არმიელთან—ეს უკვე იციან ჯარის რიგებში მომუშავე ამხანაგებმა, რომელთაც უხდებათ უშუალოდ მუშაობა ახალ წვეულთა შორის.

ამიტომ ჩვენი გაზეთის ახალგაზრდა წითელ-არმიელთა მასასთან დაახლოების საქმე მეტ ნაწილად დამოკიდებულია უფროსთა და პოლიტ-შემადგენლობისაგან. თითეული სამხედრო, კომანდირი, პოლიტხელი, სამხედრო, ერთი სიტყვით წითელ ჯარში ყველა მუდმივი მომუშავე ამხანაგი ვალდებულია დაუახლოვოს წითელ არმიელი გაზეთს, მიაჩვიოს ის ამ უკანასკნელის კითხვას. ამავე დროს ხშირი წერილობითი და ზეპირი კავშირით რედაქციასთან აცნობდეს ამ უკანასკნელს, თუ რა არის მიუწვდომელი ან გაუგებარი წითელ არმიელისათვის, ან რა აინტერესებს მას ისეთი, რომელიც გაზეთში არ შუქდება.

მაგრამ არ კმარა მარტო ის, რომ ჩვენი წითელი არმიელი კითხულობდეს გაზეთს, საჭიროა, რომ ის აქტიური თანამშრომელი გახდეს გაზეთის; ახალგაზრდა წითელ არმიელმა სისტემატიურად უნდა სწეროს თავის გაზეთში თუ რა დეფექტებია, ცუდი მოვლენები მის ნაწილში და რა არის კარგი, დადებითი.

და რამდენათ მეტი თანამშრომელი წითელ არმიელი ეყოლება ჩვენ გაზეთს, ის იმდენათ მიუახლოვდება თავის მიზანს—გახდეს მასიური, წითელ არმიელის გაზეთი.

## რადიო-დეპეშები

— კომპარტიის 13-ყრილობის სახელზე მოსკოვში მოდის აუარება მისალმებები სხვა და სხვა ქვეყნების კომპარტიებისაგან.

— ინგლისის თემთა პალატამ მიიღო ბილი საჰაერო ფლოტის გაძლიერების შესახებ.

— საფრანგეთში ახდენენ ცდებს ახალი სისტემის უზარმაზარი ტანკების დასამზადებლად.

რუმინეთში ებრაელების წინააღმდეგ მოძრაობა მეტის მეტად მწვავე ხასიათს ღებულობს.

— 27 მაისს გაიხსნება გერმანიის ახალი რეიხსტაგის პირველი სხდომა.

— საფრანგეთის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეთ წამოყენებულია პენლევეს კანდიდატურა.

## საბჭოთა კავშირი.

### კომინტერნის მისალმება.

ახალგაზრდათა კომინტერნი პარტიის 13-ტე ყრილობისადმი თავის მისალმებაში აღნიშნავს რომ მუშათა ახალგაზრდობა ერთხმად გამოვიდა პარტიის სხვა და სხვა თაობათა დაპირდაპირების წინააღმდეგ. პარტიის ძველი და ახალი თაობა სრული თანხმობით უნდა მუშაობდენ ძველი ბოლშევიკური გვარდიის ხელმძღვანელობის ქვეშ. მთელი ქვეყნის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირები იწონებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაზს.

### მისალმება იაპონიის კომპარტიისაგან.

13-ტე ყრილობისადმი მისალმებაში, იაპონიის კომპარტია გამოსთქვამს თავის აღტაცებას რუსეთის კომუნისტური პარტიის სიმტკიცის გამო, რომელიც ჭეშმარიტი დამცველია ლენინის აღთქმებისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დროშის.

### „დობროქიმიისათვის“.

ქიმიურმა ინსტიტუტმა თავისი ლაბორატორია დაუთმო „დობროქიმიას“.

### მთამადნელები არ დაივიწყებენ ილიჩს.

მოსკოვში ჩამოვიდა ანჟერო-რუდაჟენსკის მაღაროების მუშათა დელეგაცია, ტომსკის ახლოს, რომელმაც ჩამოიტანა ნახშირისა და კოქსისაგან მეტად მხატვრულად დამზადებული გვირგვინი, რომელზედაც მუშები შრომობდენ სამი თვის განმავლობაში. გვირგვინს აქვს წარწერა: „მთამადნელები არ დაივიწყებენ ილიჩს“.

### ამხ. ნოგინის გარდაცვალება.

22 მაისს დილის 4 საათზე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, საქსოვ სინდიკატის თავმჯდომარე, რუსეთის კომუნისტური პარტიის ერთი ძველი წევრთაგანი ამხ. ნოგინი.

### ამხ. კრასინი განსვენებულ ნოგინის შესახებ.

როსტას თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. კრასინმა ამხ. ნოგინის გარდაცვალების გამო განაცხადა: გარდაიცვალა ს. ს. რ. კ. წარჩინებული სახელმწიფო მოღვაწე, ერთი ძველი წევრთაგანი ❦ კომუნისტური პარტიის დამაარსებელთაგანი რუსეთში. ამხ. ნოგინის ცხოვრება მთლიანად მუშათა და გლეხთა საქმისათვის ბრძოლა იყო. მეფის საპყრობილეებმა და გადასახლებამ ვერ გასტეხეს ამხ. ნოგინის რევოლიუციონური ენერგია. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგის იყო შრომის კომისარი, უმაღლეს სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. შემდეგ კი სათავეში ჩაუდგა საქსოვ მრეწველობას. უშუალოდ დაკავშირებული იყო მუშათა მასებთან და დიდი სიმპატიებით და სიყვარულით სარგებლობდა ყველასაგან ვისაც მასთან რაიმე საქმე ჰქონია.

## ჩვენ და ისინი

### სათქმელი აღარაფერი აქვთ.

გაზეთებმა გამოაქვეყნეს რუსეთის სავაჭრო წარმომადგენლობის განცხადება უკომენტარიოთ, მხოლოდ ერთი შტრეზემანის გაზეთი „ცეიტი“ უწოდებს ჩას ნაკლებად დასაბუთებულს.

### საჭიროა კონფლიქტის დაჩქარებითი ლიკვიდაცია.

ახალი რუსეთის მეგობართა საზოგადოებამ ბერლინში, მოაწყო ჟურნალისტ ტიენგროფის მოხსენება, რომელიც მიძღვნილი იყო მოსკოვის კულტურულ ცხოვრებაზე.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე საბჭოთა-გერმანიის კონფლიქტს და პროტესტი განაცხადა ბერლინის პოლიციის მიმართ წარმომადგენლობაზე თავდასხმისათვის და გერმანიის მთავრობის კონფლიქტისადმი არა სათანადო ყურადღებით მოპყრობისათვის.

გამართული კამათის დროს ყველა ორატორები ერთხმად შეუერთდენ მომხსენებლის პროტესტს, და აღნიშნავდენ რათა დაჩქარებით ბოლო მოეღოს აღნიშნულ კონფლიქტს.

### საბჭოთა—გერმანიის რკინის გზელთა კონფერენცია არ შესდგება.

საბჭოთა—გერმანიის კონფლიქტის გამო საბჭოთა—გერმანიის რკინის გზელთა კონფერენცია მოსკოვში არ შესდგება.

### ს. ს. რ. კ. ეკონომიური მოლონიერება აუცილებელია ევროპისათვის.

### პენლევე სსრკ საფრანგეთის მიერ ცნობის შესახებ,

„პრაგერ პრესის“ თანამშრომელთან საუბრის დროს პენლევემ განაცხადა, რომ ის ყოველთვის წინააღმდეგი იყო საბჭოთა რუსეთის იზოლიაციის და ყოველგვარ ინტერვენციების, რომლის ეკონომიურად მოღონიერება აუცილებელია ევროპისათვის.

პენლევემ აღნიშნა, რომ ის ყოველთვის გამოსთქვამდა აზრს ს. ს. რ. კ. ეკონომიური ურთიერთობის განახლებაზე და მიუთითა, რომ ს. ს. რ. კ. იურიდიულად ცნობის წესი მომავალი მთავრობის საქმეა, რომლის მეთაურათ აუცილებლად იქნება ერიო.

### პოლონელ ახკომკავშირელის დახვრეტის გამო პროტესტი.

აუარება ფაბრიკა ქარხნებში მოხდა საპროტესტო მიტინგები ახკომკავშირელ ენგელის სიკვდილის დასჯის გამო. ქალაქის ახკომკავშირელთა გაერთიანებულ კონფერენციაზე გამოტანილი რეზოლიუცია ზიზღს უცხადებს საფრანგეთის კაპიტალის დაქირავებულ მკვლელებს და აქეთკენვე მოუწოდებს ყველა ქვეყნის ახალგაზრდობას, რათა გამოვიდენ ორგანიზაციული პროტესტით ამხ. ენგელის დახვრეტის გამო.

### პრესა

## ლენინის რაზმის დათვალიერება.

„პრავდა“ მოწინავე წერილში სწერს: „ილიჩის სიკვდილის შემდეგ ჩვენ ბევრი დიდი მნიშვნელობის მომენტები განვიცადეთ. მსოფლიოს ყოველ მხრიდან გამოძახილმა დაგვანახვა, რომ ჩვენი პარტია მარტო არ არის, რომ ის ერთ ერთი რაზმთაგანია იმ დიდი რევოლიუციონურ ჯარისა, რომელიც იქმნება როგორც მოწინავე კაპიტალისტურ ისე ჩამორჩენილ კოლონიალურ ქვეყნებში.

მე 13 ყრილობა იქნება სწორედ ამ რაზმის დათვალიერება და ეს დათვალიერება ხდება განსაკუთრებულ პირობებში, არამც თუ არ არის ბელადი, არამედ ყველა საამღშენებლო პრინციპები, ყველა ბრძოლის მეთოდები, შეთვისებული პარტიის მიერ ილიჩის ხელმძღვანელობით, გატარებულ იქნა მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში. ჩვენ შინაურ პარტიულ დისკუსიას თვალ ყურს ადევნებდა მთელი კომინტერნი, დაჩაგრულნი ყველა ქვეყნისა, რადგან პარტიას უნდა გადაეჭრა საკითხები, რომელთა გადაჭრა მოუხდება პროლეტარიატის დიქტატურას ყოველ ქვეყანაში, როცა ის შეუდგება სოციალურ აღმშენებლობას. კომინტერნის პარტია-სექციები მაშინავე არ გამოეხმაურენ, რადგან ისინი თვით კარგათ უნდა გარკვეულიყვენ ყველა სადავო საკითხებში ყოველი ქვეყნის პირობების მიხედვით.

რ. კ. პ. მე 13 ყრილობის შესახებ კომინტერნმა გამოსთქვა თავის აღტაცება რ. კ. პ. რევოლიუციონურ სიმტკიცის და ლენინის ანდერძების მისგან ნამდვილი დაცვის გამო.

ყველა კომინტერნის სექციებმა აღიარეს, რომ ჩვენი პარტია-ნამდვილად მოწინავე რაზმია დიდი საერთაშორისო პროლეტარიატის პარტიისა, რომელსაც მიყავს მშრომელი გადამჭრელი ბრძოლისაკენ. კომინტერნის დადგენილებით ბოლო ელება ჩვენს დავას.

არას დროს არ უგვრძნია ჩვენს პარტიას ისეთი გრძნობით დაახლოვება მთელი ქვეყნის მშრომელებთან როგორც ეს იგრძნო ეხლა, ბელადის სიკვდილის შემდეგ, მწუხარების დღეებში.

# ბურჟუაზიულ ქვეყნებში

**გერმანიის რეიხსტაგის გახსნა.**

27 მაისს გაიხსნება ახალ რეიხსტაგის პირველი სხდომა.

**ტევტონელებს უახლოვდება.**

ტირპიცმა გამართა მოლაპარაკება ლიუდენდორფთან კოალიციურ მთავრობის შედგენის შესახებ, რითაც უნდა ტევტონელების ყურადღების დამსახურება.

**კომუნისტურ გაზეთის აკრძალვა.**

კენიგსბერგის კომუნისტური გაზეთი „ოსტ ექსპრეს“-ის გამოცემა შეჩერებულია ოთხი კვირით. რედაქტორი დაპატიმრებულია: მას ბრალს სდებენ სამშობლოს ღალატში.

**შეკითხვა**

პრუსიის ლანდტაგში, კომუნისტების და სოციალ-დემოკრატების შეკითხვების საწინააღმდეგოდ გალეში მომხდარ ამბების გამო, ნაციონალისტებმა შეიტანეს შეკითხვა პატრიოტულ მანიფესტაციების აკრძალვის გამო.

ორატორი—კომუნისტი ამტკიცებდა, რომ მთავრობა ხელს უწყობს ფაშიზმს, რისთვისაც მოითხოვს პრუსიის მთავრობის გადადგომას. ს. დ. ვენტინგი, გალეს უნივერსიტეტის პროფესორი აღნიშნავს საშინელი პოლიციის მოქმედებას პატრიოტულ დღესასწაულის დღეს გალეში, მარა იმაზე კრინტი არ დაუძრავს რომ პოლიცია ს. დ. უფრო. განკარგულებით მოქმედებდა.

**ანგარიში გაუწიეთ მუშებს.**

რურის მრეწველებმა განუცხადეს მთავრობას, რომ ინჟენერთა საკავშიროთა შორის კომისიასთან დადებულ ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელია მუშების მიერ დაკავებულ პოზიციის გამო. ნახშირის უქონლობის გამო ბევრი წარმოება შეჩერდება. მუშები „შტრეიკბრეხერებს“ არ აძლევენ მუშაობის უფლებას.

**წარმოება უნდა გადავიდეს მუშების ხელში.**

გაფიცვების ხელმძღვანელების მასიური დაპატიმრებამ რურში, მუშები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ისინი უსათუოდ უნდა შეეცადონ, რომ საქმე მიიყვანონ სრულ გამარჯვებამდე. კომუნისტური გაზ. „ფოლკსვახტ“-ი სწერს: „ფართე მუშების მასებში იღვიძებს აზრი, რომ მთელი წარმოება მათ ხელში უნდა გადავიდეს“.

**მოწოდება.**

კომინტერნის, პროფინტერნის და ახკომკავშირის აღმასკომებმა მიმართა მოწოდებით საერთაშორისო პროლეტარიატს. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ საფრანგეთის მთავრობას დაპატიმრებული ჰყავს ოკუპაცია ქმნილ ოლქების 1000 გერმანელი კომუნისტი და 115 საფრანგეთის ჯარის კაცები, რომელნიც ანტი-მილიტარისტულ პროპაგანდას ეწეოდენ საფრანგეთის ჯარში.

**ფრაქციათა ლიდერების პირველი თათბირი.**

შესდგა ფრაქციათა ბელადების პირველი თათბირი, რომელიც მოწვეული იყო ნაციონალისტების მიერ. თათბირში მონაწილეობა მიიღეს: ნაციონალისტურმა, სახალხო, დემოკრატიულმა და ბავარიის სახალხო პარტიებმა.

ნაციონალისტებმა გამოაქვეყნეს თავისი პროგრამა საგარეო და საშინაო პოლიტიკაში და კანცლერის თანამდებობაზე წამოაყენეს ადმირალ ტირპიცის კანდიდატურა, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე კი კიოლნის ყოფილი ობერ ბურგომისტრი ვარლაფი. ნაციონალისტებიც თანახმა არიან მარქსის ვიცე კანცლერის პოსტზე დატოვებას, შტრეზემანის კანდიდატურის კი სრულიად წინააღმდეგი არიან.

**არჩევნები ბულგარეთში.**

სათემო არჩევნებში ბულგარეთში მთავრობის ბლოკმა მიიღო 300.000 ხმა, კომუნისტებმა და გლეხების კოალიციამ 2.000, დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებმა 80.000. კომუნისტების და გლეხების კოალიციის ხმების სიმცირე აიხსნება მთავრობის რეპრესიებით.

**ბალტიის სახელმწიფოების კონფერენციის დახურვა.**

ბალტიის სახელმწიფოების კონფერენცია დაიხურა. გამოქვეყნებულია ოფიციალური ბიულეტენები მოკლე ანგარიშით მუშაობის მსვლელობის შესახებ. კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლიუციები არ არის გამოქვეყნებული.

## საფრანგეთი.

**ერიო ადგენს კაბინეთს.**

პარიზის გაზეთები იტყობინებიან, რომ ერიომ თანხმობა განაცხადა ახალი კაბინეთის შედგენაზე. გაზეთები დიდმნიშვნელობას აძლევენ ერიოს და ბრიანის შორის მომავალ მოლაპარაკებას.

**ელისეიის სასახლეში მიღება.**

პარიზიდან მიღებული ცნობით, 24 შესდგება ერიოს მიღება ელისეიის სასახლეში.

**ერიო თათბირობს.**

ერიოს თათბირი ქონდა დუმერგსათა ბრიანთან, თათბირის შემდეგ პენლევემ თანახმობა განაცხადა დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეობაზე.

**შთაბეჭდილება ლონდონში.**

პუანკარესა და ერიოს შორის მოლაპარაკებამ ელისეიის სასახლეში ლონდონში კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მაკდონალდი აპირებს საფრანგეთში ახალი მთავრობის შედგენისთანავე მიიწვიოს ახალი პრემიერი ინგლისში.

**პარიზის მემარცხენე პრესა პუანკარეს და მილიერანის შესახებ.**

პარიზის მემარცხენე პრესა განაგრძობს თავის გამოსვლებს მილერანის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს მის წასვლას პუანკარესთან ერთად. „პოპულერი“ საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობის მოუწესრიგებლობას თავზე ახვევს ნაციონალურ ბლოკს და რომელიც ამტკიცებს რომ საფრანგეთის ფინანსების ცუდი მდგომარეობა გამოწვეულია ვერსალის ხელშეკრულებითო, რომელმაც პუანკარეს პოლიტიკის წყალობით და მილერანის წაქეზებით მეტად ცუდი მდგომარეობა შექმნა.

**ლაქიობის პოლიტიკა.**

რესპუბლიკანელების და დემოკრატების პარტიების გაერთიანებულმა კომიტეტმა დაადგინა განაგრძონ ძველი პოლიტიკა, შექმნან ყველა რესპუბლიკანელების კავშირი, უარი განაცხადონ საერთო გამოსვლაზე ინტერნაციონალისტებთან და რევოლიუციონერთან ერთად და დაიცვან კერძო საკუთრების პრინციპი კოლექტივიზმისა და კომუნიზმის წინააღმდეგ.

**გაერთიანებული სოციალისტების ნაკაზი.**

ლიმოჟ ს სოციალისტების გაერთიანებულმა ფედერაციამ პარტიული ლობის დელეგატებს ჩააბარ ა ნაკაზი, რათა ისინი გამოვიდენ სოციალისტების მთავრობაში შესვლის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირონ მემარცხენეთა ერთფეროვან მთავრობას, რომელიც იბრძოლებს საფრანგეთის ფინანსიურ და ეკონომიურ აღორძინებისა და მუშათა კლასის მონაპოვართა შესანარჩუნებლად.

**მემარცხენეთა ბლოკი უძლურია.**

საფრანგეთის კომპარტია თავის მანიფესტში აღნიშნავს, რომ მემარცხენეთა ბლოკი, რომელიც გაიყო 2 ფრაქციათ—რადიკალებსა და სოციალისტებათ, უძლური იქნება გაიყვანოს საბჭოთა რესპუბლიკების ცნობა, სრული ამნისტია, დათხოვნილ რკინის გზელთა უკანვე მიღება და 8 საათის სამუშაო დღის დაცვა. კომპარტია კი შეიტანს პარლამენტში რევოლიუციონურ პროგრამას, რომელიც მოითხოვს ბურჟუაზიული არმიის გაუქმებას, პროლეტარიატის შეიარაღებას, მსხვილ ქონებათა ჩამორთმევას, საწარმოო საშუალებათა ნაციონალიზაციას, ახალშენების დამოუკიდებლობას, ომის დამწყებთა დასჯას და მუშათა და გლეხთა მთავრობის შედგენას.

მანიფესტი გაერთიანებისაკენ მოუწოდებს ყველა მშრომელებს, პატიოსან მუშა სოციალისტებს, ბურჟუაზიული ბლოკის წინააღმდეგ, რომელიც გამოვა მუშათა კლასის მოთხოვნილებათა წინააღმდეგ.

**გერმანიის კაბინეთის შედგენა.**

ხუთშაბათს გრძელდებოდა თათბირი ახალი კაბინეთის შედგენის გარშემო. მაგრამ თათბირმა არავითარი შედეგი არ მოიტანა. ცენტრის პარტიამ გადაწყვიტა კიდევ მიმართოს ნაციონალისტებს, გაერთიანებულად საგარეო პოლიტიკის გატარების მიზნით.

**ზომიერ პარტიების პროგრამა.**

ბერლინიდან მიღებულ ცნობით, ზომიერ პარტიების პროგრამას გათვალისწინებული აქვს ექსპერტთა გეგმების განხორციელება, ნამდვილი სადამოენო საზღვრების და გერმანიის სუვერენიტეტის აღდგენა რეინლანდში.

**გალეში მომხდარ ამბების გამო.**

საქსონიის ლანდტაგმა უარყო კომუნისტების წინადადება, რომელიც შეეხებოდა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი უნდობლობის გამოცხადებას, გალეში პოლიციის შეყვანის გამო.

**ახალი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის წინ.**

ტენისმა და გაინსემ მოახსენეს ბელგების მეფეს მილანში მომხდარ თათბირის შედეგებზე. თათბირმა აუცილებლად სცნო საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის საჭიროება. მუსოლინის, მაკდონალდს და საფრანგეთის წარმომადგენლის წინასწარი თათბირის შემდეგ.

**სესხის აღებაზე ხმების გავრცელების უარყოფა.**

ანგორის სააგენტო ოფიციალურად უარყოფს სესხის შესახებ მოლაპარაკებაზე გავრცელებულ ხმებს და აცხადებს, რომ ოსმალეთს ამჟამად სესხი არ ესაჭიროება.

**ინგლისის საჰაერო აღმშენებლობის პროგრამა.**

ინგლისის ახალი საჰაერო აღმშენებლობის პროგრამას გათვალისწინებული აქვს რამოდენიმე საჰაერო ცეპელინის ტიპის გემების აგება, რომელთაც შეეძლებათ ინგლისი და ინდოეთში 7 დღის განმავლობაში გადაფრენა და ავსტრიაში კი 14 დღეში.

**რუმინეთის პოგრომჩიკები.**

ბელგრადიდან მიღებულ ცნობებით რუმინეთში გრძელდება ანტი ებრაული მოძრაობა. კლაუზენბურგში ებრაელების წინააღმდეგ გამოსულმა ბრბომ მდინარეში გადააგდეს ორი სტუდენტი და ნება არ მისცეს ებრაელ პროფესორებს უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვისა.

# სხვა და სხვა

**ახალი უზარმაზარი ტანკები.**

„ტანი“-ს ცნობით საფრანგეთში მოახდინეს ცდა ახალი უზარმაზარი ტანკების აგებისათვის. თითეული ასეთი ტანკა ეღირება 6 მილიონი ფრანკი. „ტანი“ ფიქრობს ეს უზარმაზარი ტანკები მომავალ ხმელეთის ომებში უმთავრეს ადგილს დაიჭერსო.

**ინგლისის საჰაერო ფლოტის გაძლიერება.**

თემთა პალატამ მეორე წაკითხვის შემდეგ მიიღო ბილი საჰაერო ფლოტის შესახებ, რომლის თანახმად შეიარაღებული იქნება 13 ახალი საჰაერო ესკადრილია. 7 მათ შორის სპეციალურად თავდაცვითი მიზნებისადმი იქნება შეგუებული.

## სირიაში.

საფრანგეთის არმიის მთავარ სარდალი სირიაში, გენერალი ვეიგანი დაბრუნდა ბეირუტში 25 მაისს. თავისი პარიზში ყოფნის დროს მას ხანგრძლივი თათბირი ქონდა პუანკარესთან. მან განუცხადა გაზეთების კორესპონდენტებს, რომ ოფიციალური ცნობები საფრან. ჯარებსა და სირიის ადგილობრივ მოსახლეობის შორის შეტაკებაზე აქამდე არ მიგვიღია.

**„დობროქიმი“ ადესაში.**

ოდესაში 600 წვევანდელი ჩაეწერა „დობრო ქიმში“. წ თელ არმიელთა ნაწილებში იკითხება პოპულიარული მოხსენებები ქიმიაზე.

**ინგლისის ესკადრა ბალტიის ზღვაზე.**

ივნისში ბალტიის ზღვაში შევა ინგლისის კრეისერების, წყალქვეშა ნავების და გზის გადამღობთა ესკადრა, რომელიც შევა რიგაში, რეველში, გელსინგფორში, სტოკგოლმში, კოპენგანგენსა და ქრისტიანიაში.

**ანარქისტების შეტაკება პოლიციასთან.**

ანარქისტ ბერტინს აკრძალული ქონდა მოხსენების გაკეთება ქ. ბორდოში, რამაც გამოიწვია პოლიციასთან შეტაკება. ბერტიანი დააპატიმრეს. შეტაკების დროს ბევრი დაიჭრა.

# ვემზადოთ შესახვედრად.

თანახმად მთავრობის დადგენილებისა ა/წ. 25 მაისიდან იწყება საქართველოს ყველა მაზრებში 1902 წელში დაბადებულ ახალგაზრდობის წითელ ჯარში გაწვევა.

ამ საქმის ჩასატარებლად უკვე გაემგზავრა ყველა მაზრებში მიმღები კომისიები, რომელთაც ევალება ახლად წვეულების მიღება და განაწილება ქართულ დივიზიის სხვა და სხვა ნაწილებში.

ჯარში გაწვევის სათანადოთ ჩასატარებლად მოწოდებულია ყველა პარტიული და საბჭოთა აპარატები, რომელნიც ვალდებული არიან ყოველმხრივ ხელი შეუწყონ ამ საქმეს.

წარსული გაწვევა წითელ ჯარში და უკანასკნელი ბევრად განსხვავდებიან ერთი მეორესაგან. წელს ოთხ ფორმულიანი კენჭის ამოღებით ხდება გამოწვევა და წარსულ შეცდომებს არ ექნება ადგილი. დღეს უნდა დავრწმუნდეთ, რომ წელს მოსულს ჯარში წითელ-მოლაშქრეს თვალი და გული არ დარჩება ოჯახზედ, როგორც წარსულში იყო.

საჭიროა მეტი სიფრთხილე და ყურადღება მუშაობისადმი. ეს მით უმეტეს დღესაა შესაძლებელი, როდესაც ყველა წ. მოლაშქრემ იცის მისი სამსახურის გათავების დრო და ამიტომ უფრო დამშვიდებით შეიძლება მასთან მეცადინეობა.

როგორ უნდა შევხვდეთ ახლად წვეულებს? ყველამ კარგათ უნდა ვიცოდეთ, თუ ვის მივიღებთ მაზრებიდგან წ. ჯარის რიგებში, ესენი ყველა სოფლის მშრომელი გლეხობის შვილებია, რომლებიც ვერ იცნობენ ქალაქის ცხოვრების პირობებს, შესაძლებელია ბევრს მათგანს მატარებელიც არც კი ენახოს. მეტია ლაპარაკი სხვა კულტურულ და პოლიტიკური მოთხოვნილებებზე, რომლებზედაც წარმოდგენაც არ ექნებათ. გასაკვირი არაფერია რომ ამ ახალმა წვეულებმა არ იცოდეს ჩვენი წითელი ყაზარმის შესახებ და ცხადია მისთვის უცხო იქმნება ბევრი რამ პირველათ წითელ ყაზარმაში.

უეჭველად სწორი მიდგომა უნდა, რომ იმთავითვე ყაზარმაში მისულთ გული არ აუცრუვდეთ მასზე.

მართალია მისაღებ პუნქტებზედ იქნება კინოები მოწყობილი კინოები, თეატრები და მიტინგები და ამავე დროს სადგურებზედაც იქნება შესახვედრი პუნქტები, სადაც გულიათ შეხვდებიან ამხანაგები, მაგრამ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს წ. არმიელის შეხვედრას იქ, სადაც ორი წელი, ან მეტი მოუხდება ცხოვრება. მე მოწამე ვარ ისეთი შემთხვევის, როდესაც ახლად წვეულები მოიყვანეს ნაწილში და მას ღებულობდნენ შტაბში აღრიცხვაზედ. იქ მათ მწერლები ხმა მაღლა სიტყვებით მიმართავდენ: რიგში ჩადექით, შენი რიგი არ არის და სხვა მრავალი კითხვებით. მინახავს, რომახლად წვეული ასეთი მოპყრობის შემდეგ დაღონებული მიმდგარა იქვე ფანჯარასთან ან ამხანაგს აოდგომია გვერდში დარცხვენილი, თავ-ჩაღუნული. მე, რასაკვირველია, ამის წინააღმდეგ მიმიღია ზომები და სათანადო პასუხიც მომითხოვნია მათთვის. ამიტომ საჭიროა მეტი ყურადღება მივაქციოთ წითელ არმიელების მოსვლას ნაწილებში, სადაც მათ მიელის წითელი ყაზარმა და პოლიტ-უფ-შემადგენლობა.

ყველა დამხვედრი ყოველთვის კეთილი და მომღიმარი უნდა იყოს მათთან. უნდა იქნეს მოწყობილი სადარბაზოთ ნაწილების კლუბები, სათანადო პლაკატებით.

ამავე დროს შტაბში ჩაწერას უნდა დაესწროს პასუხის-მგებელი ამხანაგი, რომელიც ყურადღებას მიაქცევს ჩაწერას და არავითარ უკანონობას არ დაუშვებს მწერლების მხრით ყოველთვის, როგორც კი შემოვა ყაზარმის ეზოში ახლად წვეულები, მათ უნდა მიესალმონ ამხანაგები.

გარდა, ამისა როდესაც კარანტინში მოათავსებენ, იქ საჭიროა სისტემატიური მეცადინეობა და ამხანაგური დამოკიდებულება. ერთი სიტყვით ახლად წვეულების შემოსვლის დროს ყაზარმაში ისეთი პირობები უნდა შევქმნათ, რომ არა მარტო ჩვენ გვემჩნეოდეს მხიარულება, არამედ ყაზარმის კედლებსაც. **ს. ლ.**



## შრომა და კაპიტალი.

(ახალი ინსცენიროვკა).

კვირა. მზიანი გაზაფხულის დღე. ასეულის „წითელ კუთხეში“ ფუსფუსია, მზადება. სახელდახელოდ აკეთებენ სცენისებურ მოწყობილებას და წითელ არმიელები სდგავენ თავისავე დაწერილ პატარა ინსცენიროვკას, რომელიც თუმცა ტეხნიკურის მხრით ცოტა მოისუსტებს, მაგრამ მაინც კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა, როგორც იმ ამხანაგების დაწერილი, რომელთაც სულ დიდი ხანი არ იყო რაც შეისწავლენ წერა-კითხვა; მოთამაშენიც თითონ იყვნენ.

ინსცენიროვკა გამოხატავს დღევანდელ მსოფლიო მდგომარეობას: ერთის მხრით სდგას კაპიტალი-ბურჟუის სახით, მეორე მხრით შრომა-მუშის სახით; კაპიტალს უკან სდგანან პუანკარე, ფაშისტები და ყველა სოციალ-გამყიდველები, შრომის უკან-კი კომპარტია-რუსეთის სახით და წითელი-არმიელი.

იწყება ბრძოლა. პუანკარე სცდილობს ყოველ მხრით შემოარტყას ალყა საბჭოთა ქვეყანას, იღრინება, მუშტებს უღერებს და თუ რომელიმე მისი მომხრეთაგანი შედრკება წითელ არმიის შიშით და წამოჩოქებას დააპირებს—ყველას უტევს, ემუქრება და იწყება ღრინვა მათში და მიუხედავად პუანკარეს ღრენისა, გადმოდიან მორჩილების ნიშნად თავს უკრავენ საგუშაგოზე ამაყად მდგარ წითელ არმიელს და ეუბნებიან:

—„გვაპატიე, რადგან არ ვიცოდით რასაც ვიქმოდით, ჩვენ გვსურს გიცნოთ, და მოდე მოწყალებანი შენნი, ნუ იქნები სასტიკი ჩვენზედა, პუანკარე გვაბრიყვებდა.

— შეგინდვია, მაგრამ თუ ფრთხილად არ იქნებით ვაი თქვენი ბრალი! - და ხიშტით მათ თავზე სახავს ჯვარს.

პუანკარე მაინც არ ისვენებს, მაგრამ მარტოდ დარჩენილზე უკანით აღიმართება ფრანგი მუშა და იწვევს არჩევნებში სათამაშოდ.

— მე ჩაქუჩით შენ კი რითაც გსურს.

— მმმე... ხმლით.

— კარგი.

დაიწყო დუელი. ვიდრე პუანკარე თავის აკანკალებული ხელით მოიქნევდა ხმალს, ახალგაზრდა მუშამ მოუქნია ჩაქუჩი და ხმალი შუაზე გადაუმტვრია.

— ვაიმე!!!—შეჰყვირა პუანკარემ და დაეშვა ძირს, დამარცხებული.

შემდეგ-კი აიკრა გუდა-ნაბადი, ერთი შრაზმორევით გადახედა წითელ არმიელს და—ეს ყველაფერი შენი ბრალია, თუ არა შენი იმედი, ეს ვერაფერს მიზამდა—ეუბნება და მიდის.

წითელ არმიელს ეცინება.

ცოტა ხნის შემდეგ ვხედავთ პუანკარეს მონასტერში ბერად შესულს, სადაცა სწერს თავის მემუარებს, სისხლიან მოგონებებს, რომლითაც ასე მდიდარია მისი ცხოვრება.

ინსცენიროვკამ კარგა ჩაიარა, მაგრამ დიდ სცენაზე უფრო კარგ შთაბეჭდილებას დასტოვებდა.

ასე ერთობიან ხანდისხან ჩვენი მოლაშქრენი.

**სიო.**

---

## მე-3-ე ლეგიონის ცხოვრებიდან.

პარასკევს, 16 მაისს, მოხდა ლეგიონის თეატრში ამავე ლეგიონის უფ.-პოლიტ შემადგენლობის და წითელ-არმიელთა საერთო კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ლეგიონის სამხკომის თან. ამხ. ნ. ბარამიძე.

დღის წესრიგს შეიცავდა: ინფორმაციული მოხსენება კრების მუშაობის შესახებ, 2. ინფორმაციული მოხსენება ინვალიდთა დამხმარე საზოგადოების შესახებ და 3. კლუბის გამგეობის არჩევნები.

კლუბის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს, კლუბის უფროსი ამხ. ლ. ლაღაძე, რომლის დამთავრებისას დამსწრეთაგან იყო მრავალი შეკითხვები. საკითხის გარშემო აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ, კრებამ კლუბის მუშაობა სცნო სავსებით დამაკმაყოფილებლად. მეორე საკითხის შესახებ კრებას მოახსენა ლეგიონის პასუხისმგებელ ორგანიზატორმა ამხ. მამარდაშვილმა. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ჩვენს ლეგიონს შეხვდა გასაკეთებლად ორი ინვალიდის ფეხი და მოუწოდა უფ-პოლიტ შემადგენლობას თავიანთი წვლილის გაღებისაკენ. კრებამ ერთხმად დაადგინა: დაევალოს ასეულებში ასეულის და ჯგუფის თავებს, შტაბში—შტაბის უფროსს, რათა შეადგინონ სიები უფ-პოლიტ. შემადგენლობისა, რომლებიც პროცენტიულად შეიტანენ წვლილს ინვალიდთა დამხმარე საზოგადოების სასარგებლოთ.

შემდეგ მოხთა კლუბის გამგეობის არჩევნები, რის დასაწყის კლუბის უფროსმა გააცნო მსმენელებს წესი არჩევნებისა და სთქვა, რომ გამგეობაში თანახმად ინსტრუქციისა უშუალოთ შედიან კლუბის უფროსი და ბიბლიოთეკის გამგე, ბიურო კოლექტივი კი ნიშნავს ერთ წარმომადგენელს თავის მხრივ, ხოლო აქ ასარჩევი არის უფ-შემადგენლობიდან ორი და წითელ არმიელებიდან კიდევ ორი, სულ ოთხი.

კრებამ უფ. შემადგენლობიდან ერთხმად აირჩიეს ლეგთავის თანაშემწე ამხ. ახვლედიანი და ათასეულის თავის თანაშემწე ამხ. მესხი. წითელ არმიელებიდან ამხ. ს. მგელაძე და ს. ყუბანეიშვილი. ბიურო კოლექტივიდან არჩეული იქმნა ამხ. ეფრემიძე.

კრების დამთავრების შემდეგ ლეგლიტერატურულმა წრემ მოაწყო ე. ნინოშვილის მოთხრობის გმირის „გოგია უიშვილის“ გასამართლება. ბრალმდებლად იყვნენ წ. ა. ბარამიძე, წკრიალაშვილი და ვაშაკიძე, იცავდენ წ. ა. ტაბაშიძე, გიგუაშვილი და გძელიძე. ბრალდებულის როლში გამოვიდა წ. ა. ქეიშვილი. ზოგმა წითელ არმიელებმა, როგორც დამცველებმა ისე ბრალდებულებისამ მოლოდინს გადააჭარბეს თავიანთი გაბედული და შინაარსიანი სიტყვებით. სჩანს წითელ არმიელები თანდათან ეჩვევიან სცენაზე ლაპარაკს. წესრიგის დაცვის ირგვლივ მოისუსტებდა სასამართლოს თავმჯდომარე.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა პოლიტ-შემადგენლობის დისპუტმა, რომლებიც გამოვიდნენ ზოგი გოგიას დამცველად და ზოგი ბრალმდებელად. ბრალმდებელ და დამცველების უკანასკნელი სიტყვის შემდეგ ნაფიც მსაჯულებმა, რომლებიც გასმართლების დაწყების წინ იყვნენ არჩეული მაყურებელთაგან, გამოიტანეს განაჩენი რომლის ძალითაც გოგია უიშვილი განთავისუფლებული იქნა ბრალდებისაგან. ამავე საღამოს ბრალმდებლებმა მოითხოვეს, რათა გოგია უიშვილი კვლავ გასამართლებულიყო. უფ-პოლიტ შემადგენლობამ გადაწყვიტეს რათა სამშაბათს, 20 მაისს მომხდარიყო გოგია უიშვილის ხელახლათ გასამართლება.

ხსენებულ დღეს, ჩვენი ლიტ-წრე ხელმეორედ გაასამართლებს გოგია უიშვილს, სადაც დამცველ ბრალდებულის როლში გამოვლენ მხოლოდ უფ-პოლიტ შემადგენლობა.

სამხკორი: **ს. ყუბანეიშვილი.**

---

## ჩვენი მოღვაწეები.

რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოსთან არსებული ქართული სამხედრო სარედაქციო-საგამომცემლო კოლეგია ენერგიულად აწარმოებს მუშაობას ქართულ ენაზე სამხედრო სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეში.

ამ ხუთიოდე თვეში გამოიცა უკვე ოცამდე სახელმძღვანელოები (როგორიცაა: ქვ. ჯარის ტაქტიკა, ტოპოგრაფია, ტანკები, დასტურლამები, ქვ. ჯარის ბრძოლა, ხიშტით ბრძოლა, სხვა და სხვა დარიგებანი, ლუისის ტყვიამფრქვევი, ფედოროვის ავტომატი და სხვა მრავალი).

დაურიგდა ნაწილებს. დამთავრდა და ამ დღეებში გამოვა „სატელეფონო საქმე“, უკვე იბეჭდება „არტილერიის ტაქტიკა“ და მრავალი სხვა.

იბეჭდება და მაისის ბოლო რიცხვებში გამოვა კოლეგიის სამხედრო სამეცნიერო თვიური ჟურნალი „წითელი გუშაგი“.

**ს.**

---

## მუშაობა სოფლად.

(უვადო შვებულებაში წასულ წითელ-არმიელთა წერილებიდან). ჩვენი დივიზიის წითელ-არმიელები, რომელნიც დათხოვნილ იქნენ უვადო შვებულებაში, ჩაბმული არიან აღმშენებლობითი მუშაობაში სოფლად.

მათ ტყუილად არ დაკარგეს ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც მიიღეს „წითელ კუთხეებში“ წითელ კლუბებში, პოლიტ-საათებზედ და ექსკურსიებზე და სხ.

აი ერთი ნიმუში წერილისა, რომელიც მოსწერა № ნაწილის მესამე გუნდის პოლიტ ხელს ერთ-ერთმა წითელ-არმიელმა გორის მაზრიდან.

„გამარჯობა ამხანაგო პოლიტხელო!

მოგიკითხავ შორიდან ხელის ჩამორთმევითა და ამხანაგური სალამით.

მომიკითხე ჩვენი სამკომი, ლეგთავი, გუნდის უფროსი და ყველა მანდ დარჩენილი ამხანაგები.

მე აბა რა უნდა მოგწერო ჩემზე, ვიცი გაგეხარდება. დავბრუნდი თუ არა უვადო შვებულებაში, შევუდექი მუშაობას ჩვენს სოფელში. წინად—ჯარში გაწვევამდის—თუ არავინ მიწევდა ანგარიშს, როგორც წერა-კითხვის უცოდინარს და არაფრის მცოდნეს—ეხლა ისე არ გაკეთდება ჩვენს სოფელში რამე, რომ მე არ ვერიო შიგ.

მოვაწყვეთ სამკითხველო, სადაც მოგვდის გაზეთი „კომუნისტი“, „მუშა“ მიწის მუშა“ და რამოდენიმე ჟურნალიცა, მაგრამა არაა ჩვენი „წითელი-არმიელი“, რომელსაც ისე შეჩვეული ვიყავით. იქნება ამხანაგო პოლიტ-ხელო, როგორმე გამოგვიწერო.

მოვაწყვეთ სცენაც ჩვენს სოფლის სკოლაში, სადაცა ვდგამთ ხოლმე რევოლიუციონურ პიესებს და რომელშიც ვმონაწილეობ. ვაწყობთ ხოლმე საუბრებსა საერთაშორისო მდგომარეობაზე და ვუკითხამ ხოლმე აქაურ გლეხობას მანდედან რომ კომუნისტური წიგნები გამომატანეთ. ხშირად ვაწყობთ კრებებს, ანტი-რელიგიურ კამპანიას, რომლის გამოკი არ გაგვეცინოს და, ჩვენი სოფლის მღვდელი,—რომელიც ეხლა ძველებურად ველარ პარპაშებს და ისეა გახუნებული და ისე დადის რომ გაწუწული ქათამი გეგონებათ—მუდამ მიბღვერის ხოლმე.

ამ ზაფხულს, თუ გვალვამ არ შეგვიშალა ხელი, მოსავალს კარგი პირი უჩანს.

სხვა რაღა მოგწერო ამხანაგო პოლიტ-ხელო, მაგრამ გთხოვდი კია, რომა გამოგვეგზავნათ გაზეთი „წითელი-არმიელიცა“ და თუ რამე რევოლიუციონური წიგნები და წარმოსადგენი ინსცენიროვკები გაქვთ. მისამართი ხომ იცით ჩემი, და, იმედია არ დაგვივიწყებთ.

მობილიზაციის კამპანიასაც ვატარებთ ეხლა. თუ არა და რა კამპანიაა საჭირო, როდესაც ჩვენებურები როგორც ერთი კაცი ისე გამოცხადდებიან. ჩემ მომდევნო ძმასაცა ვგზავნი და ნეტა ჩვენს გუნდში მაინც მოხვდეს, შენთანა.

მშვიდობით ამხ. პოლიტხელო!“

აი რა მომუშავეთა კადრს უმზადებს ჩვენი წითელი ყაზარმა სოფლებს.

**სანი.**

---

## წერილი სოფლიდან.

**(შვებულებაში მყოფ წითელ-არმიელის წერილი პოლიტ-ხელისადმი).**

სალამი შალიკოს!

როგორ მიდის ჩვენი ყაზარმის ცხოვრება? ვიცი, გაინტერესებს ჩემი ამბავის გაგება,—მე ძალიან კარგათ ვარ. რაი-ინსტრუქტორათ დამნიშნეს ჩვენივე რაიონში.

წითელ ჯარში შეძენილ აზრებს პირნათლად ვავრცელებ ხალხში. ანტი-რელიგიური წიგნები სულ დავარიგე. ვმართავ საუბრებს, კრებებს უპარტიო მასსაში. ოთხი ეკლესია იყო ჩვენ სოფელში, ამ ჟამად კი ერთში სცენა მოვაწყეთ, მეორე მეაბრეშუმეთა არტელს გადავეცით საწყობათ, მესამე სეტყვის საწინაალმდეგო რაკეტების საწყობათ გადავაქციე,—ღმერთს უნდა ვესროლოთ მისივე ეკლესიდან.

ამხ. პოლიტ-ხელო! გთხოვ რაიმე ნაირად ანტი-რელიგიური ხასიათის პიესები გადმომიგზავნოთ, უამისოდ გვიჭირს, რისთვისაც ძალიან დიდი მადლობელი ვიქნები, როგორც მე, ისე მთელი ახალგაზრდობა და მთელი მშრომელი გლეხობაც.

სალამი ყველა ამხანაგებს!

გწერთ ყოფ. წით. არმ.
**გ. ხელაშვილი.**

---

## ჩვენი კედლის გაზეთები.

ამ ბოლო ხანებში, ჩვენი დივიზიის ზოგიერთ ნაწილებში შეჩერდა გამოცემები როგორიცაა: კედლის გაზეთები, თვიური ჟურნალები და სხვა, რაც სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს.

იქნება იმას ფიქრობენ ჩვენი საგამომცემლო წრეები, რომ ჯარი უვადო შვებულებაში წავიდა და ვისთვის ვწეროთო, ანუ მომუშავე ძალების უმრავლესობა უვადო შვებულებაში არიან წასული და სხვა, მაგრამ ეს არ იქნება მართალი, რადგანაც წრეების ხელმძღვანელები და უმრავლესობა კულტ-მომუშავეებისა, ისევ ნაწილებშია და წითელ-არმიელთა საკმაო რიცხვიცაა და უფ. და პოლიტ-შემადგენლობა ხომ თავის ადგილზეა; ზოგიერთ ნაწილებს კიდევ დემობილიზაცია არ შეხებია (ცხენოსანი ლეგიონი და სხ.)

დასაწერი და გასაშუქებელი კი ბევრი რამეა. მაგ. თუნდაც ის, თუ როგორ უნდა შეხვდენ ახალ-წვეულებს, როგორი მეთოდებით იმუშაონ (კულტდარგში) მათთან და სხ. ბევრი რამ.

ბევრი ახალი მეთოდებია წამოჭრილი საკლუბო, სკოლის გარეშე განათლების და წითელ არმიელის თავისუფალ დროს სასარგებლოდ გამოყენებაზე, რაც უნდა გაშუქდეს კედლის გაზეთებში და ჟურნალებშიც, და გაუზიარონ ამხანაგებმა ერთი-მეორეს აზრები. ამას გარდა ეხლა ჩვენი ნაწილები გადიან საზაფხულო ბანაკად და იქ, ადგილებზე, სოფლებზე და მრავალი სხვა, რაც აქედანვე უნდა გაშუქდეს.

შემდეგ უნდა გაუმჯობესდეს მისი გამოცემანიც, როგორც მხატვრულად, ისე წერილებით. ეხლა უკვე კარგად დამუშავებულ წერილებს, პოეზიას და მხატვრობას მოითხოვს ჩვენი გამოცემანი, რადგანაც ეხლა უკვე ისეთი მოლაშქრენი აღარ მოვლენ, როგორიც საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში, ეხლა უკვე მომზადებულნი იქნებიან და საჭიროა უფრო მომზადებულნიც დავხვდეთ.

ამ საკითხს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით და გავაშუქებთ, თუ როგორ უნდა იწერებოდეს და რა მასალები უნდა თავსდებოდეს კედლის გაზეთებში და თვიურ ჟურნალებში.

**სანი.**

# ახალი ამბები

— **საქონლის ჭირი.** საქონლის ჭირი აპრილის თვის განმავლობაში მხოლოდ სამ მაზრაში იყო და 10 ადგილას. გორის, ბორჩალოს და დუშეთის მაზრებში.

მაისის დამლევისათვის ჭირი მოისპო ასრის საშვალებით 9 ადგილას.

— **თბილისის ბოტანიკურ ბაღის გამშვენიერება.** მიწად-მოქმედების კომისარიატთან არსებულ სალდელ სამეცნიერო ქვეგანყოფილების მიერ მიღებული ზომებით შეკეთდა ტფილისის ბოტანიკური ბაღი. ბაღი ამ ჟამად მშვენივრად არის მოწყობილი. ბაღში მოსიარულეთათვის უკვე გამოიცა სავალდებულო წესები.

— **სრულიად საქართველოს გლეხთა კომიტეტების თათბირი.** სრულიად საქართველოს გლეხთა კომიტეტების წარმომადგენელთა თათბირი მოწვეული იქნება ტფილისში 6 ივნისისათვის.

— **ტალახით მკურნალობა.** 1 ივნისიდან ჯანმრთელობის ფიზიო-ტერაპევტიულ ინსტიტუტში დაიწყება ტალახით მკურნალობა. იმ ავადმყოფებმა, რომელთაც მკურნალობა სურთ შეუძლიათ ამ ჟამადვე მიმართონ დასახელებულ დაწესებულებას.

— **მიწის რეფორმა ტბილისის მაზრაში.** ტბილისის მაზრაში მიწის რეფორმის დაჩქარებით დასასრულებლად ამ ჟამად მუშაობას აწარმოებს 10 მიწის მზომელი.

— **ცეცხლისაგან დაზღვევა** უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მიიღო დადგენილების გეგმა ქალაქებში ცეცხლისაგან სავალდებულო დაზღვევის შესახებ.

— **წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობათ.** ტფილისის პოლიტ-მმართველობამ გამოიმუშავა მომავალი წლისათვის გეგმა წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობათ. ამ ჟამად სოფლებში დაიწყება წერა-კითხვის უცოდინართა აღწერა.

— **აგარაკების სეზონის დაწყება.** ბორჯომის, აბასთუმანის და ახტალის საზაფხულო სეზონები დაიწყება 15 ივნისს. წყალტუბოში 20 მაისიდან უკვე დაიწყო.

— **სესხი ალმშენებლობის კოოპერატივს.** მუშათა საბინაო ამხანაგობას გაეხსნა სესხი 75 პროცენტების რაოდენობით.

— **გადასახადი წყალზე.** წყალზე დაწესებულ გადასახადის შეტანის დროს გადამხდელებმა უნდა წარადგინონ სათანადო მოწმობები ადგილკომებიდან წყალზე შეღავათის მიცემის შესახებ.

— **წარმოდგენა მუშებისათვის.** წყალსადენის მუშათა კლუბში დღეს მაისის 24 გაიმართება უფასო წარმოდგენა მუშებისათვის. წარმოდგენილი იქნება „დამარცხებული“ პ. ირეთელის.

— **ლენინგრადის სამხატვრო თეატრი.** ჩამოვიდა ლენინგრადის სამხატვრო თეატრის: „ელამი სარკის“ მსახიობთა დასი, რომელიც ოპერის თეატრში გამართავს 4 წარმოდგენას. მაისის 28. 29. 30 და 31-ს.

— **საღამოს გადადება.** „წითელი არმიელი“-ს № 505-ში გამოცხადებული—პირველ ლეგიონის სამხედრო მუსიკის 3 წლის თავის აღსანიშნავი საღამოს გამართვა 28 მაისიდან, ლეგიონის კარანტინში ჩაყენების გამო, გადაიდო შემდეგისათვის. დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

საღამოს მომწყობი კომისია.

# სასოფლო მეურნეობა.

## შეამოწმეთ თესლის აღმოცენების უნარი.

დადგა თესვის დრო. თესლის მიწაში ჩაყრის წინ უნდა გამოვიკვლიოთ მისი ვარგისიანობა. თესლის აღმოცენება დამოკიდებულია მრავალ სხვა და სხვა პირობებზე. ამიტომ შეძლებისდაგვარად სადი თესლიც უნდა გავშინჯოთ და გავიგოთ მისი აღმოცენების უნარი. ამისათვის თესლი ჯერ გარეგნულათ უნდა შევამოწმოთ.

პირველათ ყოვლისა ყურადღება უნდა მივაქციოთ თესლის სიდიდეს და ფერს.

თესლი უნდა იყოს საშუალო სიდიდის და დამახასიათებელი ფერის. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვა და სხვა წელიწადს ბუნებრივ პირობების განსხვავების გამო ერთი ფერის თესლი არ იცის. ზოგ მცენარეების ნესტიან და გვალვიან წლების თესლები ფერიათ განსხვავდებიან.

ამას გარდა დასათეს თესლს არ უნდა ჰქონდეს ცუდი სუნი, დაჭმუჭნული კანი და არ უნდა იყოს დაობებული. ზოგიერთების აზრით კარგია თუ თესლს წყალში ჩაყრით. კარგი თესლები ჩაიძირება უვარგისი კი ამოტივტივდება. მაგრამ ეს საშუალება ზოგ შემთხვევებში არ ვარგა. ცდებით დაამტკიცეს რომ ზოგი მცენარის ამოტივტივებული თესლიც კარგათ ამოვიდა.

ცეცხლის შემწეობით მცენარის აღმოცენების უნარის გამოკვლევა.

ცუდი თესლი ცეცხლში ან ცხელ ნაკვერჩხალზე იწვის ნელა და იძლევა ცოტა კვამლს. კარგი თესლები კი როგორც მხურვალე ნაკვერჩხალზე დავდებთ ავარდება, გადაპრუნდება და ჩქარა იწვის.

მცენარის აღმოცენების უნარის გამოსაკვლევათ საუკეთესო საშვალება შემდეგი: ვიღებთ ას მარცვალს და ვათავსებთ ორ სველ ჩვარის შორის. ჩვრები დრო გამოშვებით უნდა დავასველოთ, რომ თესლებს სინესტე არ მოაკლდეს. რამოდენიმე ხნის შემდეგ ნაწილი მცენარეებისა ამოვა. ამის შემდეგ შეგვიძლია აღმოცენების უნარის გამოანგარიშება. მაგ. თუ ას მარცვალში სამოცდაათი მარცვალი ამოვიდა ოცდა-ათი არა, მაშინ ამ თესლის აღმოცენების უნარი უდრის სამოცდა-ათ პროცენტს.

რაც უფრო დიდია თესლის აღმოცენების უნარი, მით უფრო ნაკლები თესლი საჭირო დასათესათ.

მ.

# ღმერთის წარმოშობა.

როდესაც პირველი ადამიანი საბოლოოდ დასცილდა ცხოველს, საბოლოდ გაიმიჯნა მისგან და დაიწყო თავისი საკუთარი ადამიანური გზით სიარული. მის წინ ულათუოდ წამოიჭრებოდა საკითხი სამყაროს ახსნისათვის.

პირველ ყოფილი ადამიანი მეტად პრიმიტიულ იარაღით ხელში, ნახევრად ტიტველი, საღამოს ჟამს მოქანცული ნადირობით მიაბჯენდა თუ არა თვალებს ვარსკვლავებით მოკაშკაშებულ ცას, თუ უსმენდა ნიაღვარის დენას, განიცდიდა სიცივეს თუ სიმშილს. ჭვრეტდა ელვას და ქუხილს, მის წინ ძალა უნებურად იჭრებოდა საკითხი. საიდან? როგორ? ვინ არის შემომქმედი მრავალ ფეროვან სამყაროის?

ვინ გზავნის წვიმას, ჭექა ქუხილს, თოვლს თუ სიცხეს, ვინ ამწიფებს ნაყოფს და მრავალი სხვა გადუჭრელი საკითხები სტანჯავდა ჩვენ შორეულ წინაპრის პატარა ტვინს.

საჭიროა პასუხის გაცემა ამ საკითხებზე, აუცილებელი იყო პირველ ყოფილ ადამიანის ცნობის მოყვარეობის დაკმაყოფილება.

ადამიანის გონების როგორც დადებითი ისე უარყოფი მხარე არის ყოველ საკითხს პასუხი მოუნახოს: თუ მას არ აქვს საშუალება ფაქტიური ჭეშმარიტი მასალით პასუხი გასცეს საკითხს, მას ეხმარება ასეთ შემთხვევაში მისტიური ფანტაზიის ძალა, რომელიც იმავე დროს არი ადამიანი გონების უძლურების მეორე მხარე, როგორც ზევით ვსთქვით ერთის მხრით ეს არის დადებითი ხაზი ადამიანის გონებისათვის, რამდენათ ადამიანის გონება ზღვარ უდებელია და არი დაუშრეტი წყარო განვითარებისათვის თუმც, შემცდარი გზით.

მეორე მხრივ უარყოფითი, რამდენადაც ადამიანის გონება ცდილობს გაარკვევლ საკითხების გაშუქებას უმაღლესი ძალებით, ღვთაებრივობით ცდილობს. დაუბრუნდეთ საკითხს, გავარკვიოთ ადამიანის გონებაში ღმერთის იდეის წარმოშობა და შემდეგი მისი განვითარება. სხვა და სხვა რელიგიებათ ჩამოყალიბება.

რელიგიის გაბატონებულ კლასის მიერ გამოყენება, მეცნიერების წარმოშობა და განვითარება, მათ შორის ბრძოლა და რელიგიის საბოლოო დამარცხება.

ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ პირველყოფილ ადამიანის გონებაში წამოიჭრა ინტერესი სამყაროს მოვლენებისადმი, მას დაებადა სურვილი მსოფლიოს კონსტრუქციის ახსნისთვის. ერთის მხრით სუსტი ადამიანი და მეორეს მხრით უძლიერესი ბუნება. მაშინდელ ადამიანის მეტად სუსტ გონებისათვის მეტად ძნელი იყო ამ სირთულეში გარკვევა. პასუხი კი მაინც საჭიროა, ადამიანის გონება მოითხოვს ამას.

აქ იბადება წარმოდგენა პირველ ყოფილ ადამიანის გონებაში: რომ არსებობს რაღაც ძლიერი, ზე ბუნებრივი, ზე ადამიანური, უდიდესი გონიერების მატარებელი, რომელიც მართველია, და იმავე დროს შემქნელი ძლიერ მრავალფეროვან სამყაროსი დაიბადა წარმოდგენა ღმერთზე.

# მოწამვლისაგან თავის შენახვა.

ხარდალის აირი მოქმედებს რამოდენიმე დღის განმავლობაში, ამიტომ წარსულ ომში შემჩნეული იყო რა ამ გვარი მოვლენა, ჯარი დროებით გაჰყავდათ იმ სივრციდან, რომელიც ხარდალის აირით გატენილ ჭურვების სროლის ქვეშ იყო მოქცეული. ვინაიდან ეს აირი მეტად საშინელია ორთავ მოწინააღმდეგეთათვის, ჯარის ამ გვარი გაცლა მოწამლულ ალაგიდან საკმაოდ ხშირად იხმარებოდა. 1918 წლის საშინელი ომის ხანაში, რომელიც ფართე კედაროთ სწარმოებდა, ხარდალის აირით მოწამლულ ალაგებიდან ჯარების გადაჯგუფებამ დიდი მნიშვნელობა იქონია, და ეს გადანაცვლება ღირსეულად ეყო ხოლმე ჩატარებული, არც ერთი კაცი არ დაზარალებულა, და ამ გვარად, მოწინააღმდეგეს არავითარი არსებითი პრაქტიკული უპირატესობა არ მიუღია მის მიერ ხარდალის აირის ნაწარმოებ იერიშებისაგან.

ფრაისს თავის წიგნში „ქიმიური ომი“ მოჰყავს მეტად დამახასიათებელ მაგალითად, შატო-ტიერის ჩრდილოეთ-დასავლეთით 1918 წელს 18 ივლისს კონტრ-შეტევის წინ მომხდარი ერთი ეპიზოდი. „იმ ხანაში გერმანელებს ოთხი თუ ხუთი პატარა ტყე და ორი თუ სამი სოფელი მოექციათ ხარდალის აირის ძლიერი სროლის ქვეშ. ჯარის კაცები უეჭველად უნდა დარჩენილიყვნენ ამ ტყეებში ერთი დღის განმავლობაში, რადგან იგინი წარმოადგინდენ ერთად ერთ სავანეს ტყიამფრქვევებისა, შრაპნელებისა და ასხვრევი ჭურვებისაგან. აირის საქმის მცოდნე ამერიკელებს კარგად ჰქონდათ წარმოდგენილი, რომ ხარდალის აირით მოწამლულ სივრციდან საჭირო იყო ჯარის გაყვანა და მათ მოსძებნეს ამ აირისაგან თავისუფალი ალაგი. ერთმა ოფიცერმა აღმოაჩინა, რომ ტყის ერთ ნაწილი სადაც მისი ჯარის კაცები იმყოფებოდენ, თავისუფალი იყო აირისაგან, და ლეგიონის უფროსმა დაუჯერა რა მას თავისი ხალხი იქ გადაიყვანა. ამ გვარი სწრაფი გადაწყვეტილების წყალობით, მხოლოდ ოთხი შემთხვევა იყო მსუბუქი მოწამვლისა, თუმცა ამ გვარივე აირისაგან სხვა სპები დიდად დაზარალდენ, დაჰკარგეს რა რამოდენიმე ასეული, და საერთოდ აირისაგან დაზარალებულთა რიცხვი ათას კაცზედ 10 და 20 პროც. იყო.

გერმანელები ხშირად ხმარობდენ შერეულ შხამიან აირებს და მომავალშიც მოსალოდნელია რომ ეს გამოყენებული იქნება. ეს მოვლენა აძნელებს ხარდალის აირისაგან თავისუფალ სივრცის განსაზღვრას. მიუხედავად იმისა, რომ, ხარდალის აირის გამონაკლისით, თითქმის ყველა აირები ფრიად მნიშვნელოვანი სუნის შეზავებებში შედარებით ადამიანისათვის უვნებელნი არიან, ერთად ერთი საშუალება ხარდალის აირის სახიფათო მიჯნის განსაზღვრისათვის რჩება ყნოსვა.

გ. ბ—შვილი.

# მეცნიერება და ტექნიკა

## ახალი ორთქლის ტურბინები.

რამოდენიმე ათეული წლის წინად დიზელის შინაგან წვის მატორმა მთელი გადატრიალება მოახდინა ორთქლის მანქანის განვითარებაში. ეს მოვლენა უდიდესი პროგრესი იყო წარმოებაში. ეხლა კი ტეხნიკის წარმატების დედაბოძათ ორთქლის ტურბინა ითვლება. ამის შემოტანამაც თავისებური ცვლილება მოახდინა ტეხნიკაში. ტურბინის შემოტრიალების დიდი რიცხვი განსაზღვრულ დროის რაოდენობაში, მას იდეალურად ხდის დინამოსთან უშვალო შეერთებისათვის. ორთქლის ტურბინა პირდაპირ გაბატონდა სხვა ორთქლის მანქანებზე, რადგან მისი გაცილებით დიდი ძალა პირველთან შედარებით ბევრ უპირატესობას იძლევა. გემებზედაც ორთქლის ტურბინას ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთია მხოლოდ, დროის ერთეულში ის ნორმაზე მეტ შამოტრიალებას აკეთებს, რის გამო საჭირო შეიქნა ისეთი საშვალებანი, რომელნიც ნორმამდე დაიყვანდენ მის შამოტრიალების რიცხვს დროის ერთეულში. შამოტრიალების სიჩქარის შესანელებლად საჭირო შეიქნა კბილებიანი ტურბინის შამოღება დიდი ბორბლებით. ეხლა იმდენად გაუმჯობესდა მეტალურგიულ წარმოებაში მასალების ხარისხი, და იმდენი გამძლეობაა მასალებში, რომ ასეთიძლიერი ძალის ტურბინები ჩქარი მოქმედებით დასაშვები შეიქნა. პირიქით ეხლა ამზადებენ ისეთ ტურბინებს, რომლებსაც 75000 ცხენის ძალა აქვთ 1000 შამოტრიალებით ერთ წუთში და 25000 ცხენის ძალა 3000 შამოტრიალების დროს წუთში. მეორე კარდინალური საკითხი ამ შემთხვევაში იყო ატმოსფერის დაწოლის გადიდება ორთქლის ქვაბებში. წინად ჩვეულებრივი დაწოლა ორთქლის ქვაბებში უდრიდა 18—20 ატმოსფერას. ეხლა კი ასეთი ძლიერი ტურბინების შამოტანით ტეხნიკაში საჭირო შეიქნა 50—100 ატმოსფერის დაწოლამდე, ორთქლის ქვაბებში ეს დიდი დაწოლის გადატანა უკვე განხორციელებულია პრაქტიკულად. ორთქლის ტურბინებისათვის ეს მეტად საშიში ნაბიჯი იქნებოდა მაგრამ ეხლა ესეც დაძლეულია. მანგეიმში ბროუნ ბოვერის ფირმამ დაამზადა ტურბინა 50 ატმოსფერის დაწოლით (450 გრადუსი სიცხე) 8000 შამოტრიალებით. ეს კოლოსალური მოვლენაა ორთქლის მანქანის განვითარებაში, რაც აუცილებლად დიდი მიღწევების წინაშე აყენებს კაცობრიობას.

შეიხ.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. სევდიშვილს.** შემოიარეთ რედაქციაში.

**დაიკარგა** მოწმობა მოცემული „ზაგსის“ ტფილისის მთავარ განყოფილებიდან არფენიკა მახნიაშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიკარგა** დამზღვევ კასის წიგნაკი გაცემული ვარლამ კალანდაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.